

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს  
ირაკლი კობახიძეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრს  
გიორგი კვირიკაშვილს

## რეკომენდაცია

### ასაკის ნიშნით ირიბი დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ

*შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20<sup>1</sup> და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად*

ბატონო ირაკლი,

ბატონო გიორგი,

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, 14 წლამდე ბავშვს სასამართლოში წარმოადგენს მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი, ან, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ამ ფუნქციას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სოციალური მომსახურების სააგენტო) მემშვეობით სახელმწიფო ითავსებს. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც მშობლის ან სხვა პირის კანონიერი წარმომადგენლობის გარეშე დარჩენილი, სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვი, სწორედ სახელმწიფოს მხრიდან ხდება უფლებადარღვევის მსხვერპლი. ასეთ შემთხვევაში კი იქმნება სამართლებრივი ვაკუუმი, რომელშიც არასრულწლოვანი მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ შესაძლებლობას, სხვა პირის დახმარებით საკუთარი უფლება დაიცვას სასამართლოს მემშვეობით. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, საკუთარი ინიციატივით დაიწყოს აღნიშნული საკითხის შესწავლა თანასწორობის უფლების ქრილში.

### 1. ფაქტობრივი გარემოებები

2017 წლის 25 ოქტომბერს სახალხო დამცველის აპარატს მომართა ააიპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“. განცხადების თანახმად, 2017 წლის 17 სექტემბერს ორგანიზაციას ტელეფონის მემშვეობით დაუკავშირდა 17 წლის არასრულწლოვანი ნ. ბ, რომელიც ითხოვდა სამართლებრივი დახმარების გაწევას. არასრულწლოვანი 2017 წლის 18 სექტემბრიდან იმყოფება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში,

ვინაიდან იგი წარმოადგენს ოჯახში ძალადობის მსხვერპლს, რაც დასტურდება მოძალადის - დედის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერით. 2017 წლის 19 სექტემბერს ორგანიზაციის იურისტები პირადად შეხვდნენ არასრულწლოვანს და თავშესაფრის იურისტს. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში ნ. ბ.-სა და ორგანიზაციის იურისტს შორის მოხდა შეთანხმება, რომ ორგანიზაციის იურისტები გაუწევენ იურიდიულ დახმარებას და, სხვადასხვა სამართლებრივი პროცედურების განხორციელებისას, იმოქმედებენ მისი ინტერესების დასაცავად. იმის გამო, რომ ნ. ბ. არის არასრულწლოვანი, საჭირო იყო მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, რათა გაფორმებულიყო მინდობილობა წარმომადგენლობის შესახებ, თუმცა, მას არ ჰყავდა დანიშნული კანონიერი წარმომადგენელი. თავშესაფრის სოციალური მუშაკის რეკომენდაციით, ორგანიზაციის იურისტებმა წერილობით მიმართეს „ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს“, რომლის დაქვემდებარებაში არის თავშესაფარი და გამოითხოვეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი სოციალური მუშაკი განახორციელებდა ნ. ბ. -ს კანონიერ წარმომადგენლობას. მინდობილობის გაფორმება წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას, ვინაიდან შემაკავებელი ორდერის ვადა შეადგენს 1 თვეს, შესაბამისად, არასრულწლოვნის თავშესაფარში განთავსება შესაძლებელია მხოლოდ ამ ვადის განმავლობაში. ვინაიდან მშობელი მოძალადეა, ბავშვის დაბრუნება ოჯახში კვლავ აჩენს მასზე ძალადობის განხორციელების საფრთხეს. იმისთვის, რომ არასრულწლოვანი კვლავ დარჩეს თავშესაფარში, აუცილებელია დამცავი ორდერის გამოცემა. ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოების მიუხედავად, ორგანიზაციის გაგზავნილ მოთხოვნაზე ფონდის მიერ არ მომხდარა რეაგირება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ორგანიზაციამ კანონიერი წარმომადგენლის დაუყოვნებლივ დანიშვნის მოთხოვნით მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომელმაც აღნიშნული მოთხოვნა რეაგირების გარეშე დატოვა. აღნიშნული მოთხოვნის პარალელურად, არასრულწლოვანმა დამოუკიდებლად მიმართა ნოტარიუსს, განუმარტა მისი ფაქტობრივი მდგომარეობა და დააფიქსირა სურვილი გაეცა რწმუნებულება ორგანიზაციაზე, თუმცა ნოტარიუსმა აღნიშნული სანოტარო მოქმედების განხორციელებაზე უარი განაცხადა. ნოტარიუსის წერილობითი უარის სასამართლო წესით გასაჩივრება შეუძლებელი გახდა, რადგან თავშესაფრის მისამართის კონფიდენციალურობის გამო, არასრულწლოვანს ვერ ჩაბარდა აღნიშნული უარი. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, როდესაც ბავშვის ინტერესების დაცვა არ ხდება მშობელთა მიერ, მის ინტერესებს იცავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომელიც, თავის მხრივ, იჩენს უმოქმედობას და ბავშვს არ აძლევს უფლებას თავისი შეხედულებით აირჩიოს წარმომადგენელი.

განმცხადებელ ორგანიზაციას მიაჩნია, რომ აღნიშნული მიდგომა დისკრიმინაციულია და წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო და შიდასამართლებრივ ნორმებთან, რომელთა ამოსავალი წერტილი, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინებაა. რეგულაციები ზღუდავს ბავშვის უფლებას, საკუთარი სურვილით აირჩიოს, თუ ვინ იქნება

მისი საპროცესო წარმომადგენელი, თუკი მას არ სურს მისი ინტერესები დაცული იყოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც მისი ასაკი, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა ამის შესაძლებლობას იძლევა. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბავშვი იმყოფება მინდობით აღზრდაში, ან სპეციალიზებულ დაწესებულებაში, მისი წარმომადგენელი არის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. თუკი ბავშვის უფლებები დაირღვა აღნიშნული წარმომადგენლის მიერ, სასამართლოში დამოუკიდებლად მიმართვის შემთხვევაშიც, ბავშვის ინტერესებს სასამართლოში კვლავ ეს ორგანო წარმოადგენს, რაც აშკარა ინტერესთა კონფლიქტს წარმოადგენს და ასეთ პირობებში, ფაქტობრივად გამორიცხავს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას. თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელს არ გააჩნია საპროცესო წარმომადგენლის სათანადო კომპეტენცია და პირი ვერ ახორციელებს არასრულწლოვანის ინტერესების დაცვას, არასრულწლოვანს არ აქვს ალტერნატივა, ჰყავდეს სხვა წარმომადგენელი. ბავშვის ერთადერთ შესაძლებლობად სასამართლოსთვის დამოუკიდებლად მიმართვა რჩება, თუმცა, ეს საშუალებაც არ არის ეფექტური, რამდენადაც არასრულწლოვანისთვის რთული იქნება მტკიცებულებების მოგროვება და სარჩელის სათანადოდ მომზადება. განმცხადებელი ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ დღეს არსებული კანონმდებლობა დისკრიმინაციულია არასრულწლოვანის მიმართ, რადგან მას არ აქვს შესაძლებლობა, სრულწლოვანის მსგავსად, დამოუკიდებლად აირჩიოს წარმომადგენელი.

აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განმცხადებელ ორგანიზაციას ეცნობა, რომ არასრულწლოვანის ასაკის და მისი სურვილის გათვალისწინებით, სააგენტო წინარმდები არ არის, რომ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ იყოს მისი წარმომადგენელი, რის შედეგადაც, განმცხადებელმა ორგანიზაციამ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შეძლო არასრულწლოვანის წარმომადგენელი ყოფილიყო.

## 2. სამართლებრივი შეფასება

თანასწორობის უფლება დაცულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს „თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას.... ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.“<sup>1</sup> სასამართლო განმარტავს, რომ კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობის განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II, 1

შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისთვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწორობებს პირიქით.<sup>2</sup>

ამასთან, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ირიბი დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც არსებული წესი ან პრაქტიკა არის ნეიტრალური - უფლებით სარგებლობისას არ აწესებს შეზღუდვას რომელიმე ჯგუფის მიმართ, თუმცა, არაპირდაპირ გამორიცხავს რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფის მიერ უფლების გამოყენებას, ვინაიდან ეს უკანასკნელნი ვერ აკმაყოფილებენ რაიმე კრიტერიუმს. ამასთან, ამგვარი მიდგომით პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი ან განსხვავებული მოპყრობა ასეთი მიზნის მიღწევის არაპროპორციული საშუალებაა.

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება N 2/1/473, II, 2

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, საერთო პოლიტიკა ან ღონისძიება, რომელმაც გამოიწვია არაპროპორციულად მავნე შედეგი ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიმართ, შეიძლება ასევე ჩაითვალოს დისკრიმინაციულად, იმის მიუხედავად, რომ იგი არ ისახავდა ასეთ მიზანს და არ იყო უშუალოდ ამ ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული.<sup>3</sup>

## 2.1. საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არასრულწლოვანს აქვს მშობელთა/სხვა კანონიერ წარმომადგენელთა მიერ უფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის უფლება. არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევისას, მათ შორის, ორივე ან ერთ-ერთი მშობლის მიერ ბავშვის აღზრდასა და განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობისას ან არასათანადოდ შესრულებისას, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენებისას, არასრულწლოვანს უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, ხოლო „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევებში – ცენტრალურ ორგანოს, 14 წლის ასაკიდან კი – სასამართლოს. ამავე კოდექსის 1298-ე მუხლით გათვალისწინებულია გასაჩივრების მექანიზმიც, კერძოდ, მეურვისა და მზრუნველის მოქმედება შეიძლება გაასაჩივროს დაინტერესებულმა პირმა, მათ შორის სამეურვეო (სამზრუნველო) პირმაც, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში სამეურვეო (სამზრუნველო) პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები. ამასთანავე, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვნებიც. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მცირეწლოვნის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავს მისი კანონიერი წარმომადგენელი – მშობელი, მშვილებელი, მეურვე. სასამართლო უფლებამოსილია კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით საქმეში მცირეწლოვანიც ჩააბას. მე-6 ნაწილის შესაბამისად კი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო უფლებამოსილია

<sup>3</sup> ECtHR, *D.H. and Others v. the Czech Republic* [GC], no. 57325/00, 13/11/2007, § 175

მიმართოს სასამართლოს არასრულწლოვნის და მხარდაჭერის მიმღების უფლებების დასაცავად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას საკუთარი თავი. სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებზე ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>12</sup>-ე მუხლის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვთ მსხვერპლს/სავარაუდო მსხვერპლს და მისი ოჯახის წევრს, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება, იყოს არასრულწლოვნის წარმომადგენელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში, შეჩერებულად ითვლება სასამართლოში საქმის წარმოების განმავლობაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, თუ მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სავარაუდო მოძალადეა ან მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი მოძალადე ოჯახის წევრს, არასრულწლოვანზე მოძალადე სხვა პირსა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში. მე-6 ნაწილის თანახმად, სასამართლო მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში იმ არასრულწლოვნის მიმართ, რომლის ორივე მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შეეზღუდა მშობლის უფლება ან მოვალეობა, განჩინებით საქმეში მხარედ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოიწვევს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს არასრულწლოვნის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს არასრულწლოვნის ინტერესებს წარმოადგენს.

განხილული საკანონმდებლო ნორმებიდან გამომდინარე, სასამართლოსადმი მიმართვის უფლებასთან მიმართებით საქართველოს კანონმდებლობა არასრულწლოვნების ჯგუფს ორ ძირითად კატეგორიად ყოფს და მათთვის განსხვავებულ რეგულაციებს ადგენს. კერძოდ, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, 14 წლამდე არასრულწლოვნებს წარმოადგენენ კანონიერ წარმომადგენლები ან/და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, ხოლო 14 წლიდან არასრულწლოვნები უფლებამოსილნი არიან თავად მიმართონ სასამართლოს და შემდგომ ენიშნებათ საპროცესო წარმომადგენლები. შესაბამისად, რადგან არასრულწლოვნების სასამართლოსადმი მიმართვის უფლებაზე დადგენილია განსხვავებული რეგულაციები, რეკომენდაციაში საკითხი შეფასდება ორ ნაწილად - პირველ ნაწილში განხილული იქნება 14 წლამდე არასრულწლოვნების სასამართლოსადმი მიმართვაზე არსებული რეგულაციები წარმოადგენს თუ არა დისკრიმინაციას; მეორე

ნაწილში კი შეფასდება 14-18 წლის არასრულწლოვნების მიმართ არსებული რეგულაციები თანასწორობის უფლების ჭრილში.

### 3. 14 წლამდე არასრულწლოვნების სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის საკითხი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები. ამასთან, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვნებიც. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მცირეწლოვნის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავს მისი კანონიერი წარმომადგენელი – მშობელი, მშვილებელი, მეურვე. სასამართლო უფლებამოსილია კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით საქმეში მცირეწლოვანიც ჩააბას. შესაბამისად, 14 წლამდე არასრულწლოვანი ჩამოშორებულია სამართალწარმოებას და მისი საპროცესო წარმომადგენლები ამომწურავად არის კანონში ჩამოთვლილი. მას არ შეუძლია აირჩიოს სხვა წარმომადგენელი და მის უფლებებს იცავს ან კანონიერი წარმომადგენელი ან სააგენტო.

#### *3.1. კანონით გათვალისწინებული უფლება, რომლით სარგებლობისას ადგილი ჰქონდა თანაბარ მოპყრობას არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფი 14 წლამდე არასრულწლოვანის მიმართ*

სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აღიარებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, ისე საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით, მათ შორის ბავშვის უფლებების გაეროს კონვენციის მე-12 მუხლით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით მე-6 მუხლით. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება საქმის სამართლიანი განხილვის უფლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია,<sup>4</sup> რომლის რეალიზების გარეშე ადამიანი ვერ ისარგებლებს სამართლიანი სასამართლოთი, რაც, თავის მხრივ, შეიძლება სხვა უფლებების დარღვევის წინაპირობა იყოს. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება უნდა იყოს პრაქტიკული და ეფექტიანი,<sup>5</sup> რაც გულისხმობს, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს რეალური და პრაქტიკული შესაძლებლობა, რომ თავის უფლებაში ჩარევა გაასაჩივროს.<sup>6</sup> ეს უფლება არ არის აბსოლუტური, თუმცა, დაწესებულმა შეზღუდვებმა

<sup>4</sup> ECtHR, *Golder v. the United Kingdom*, no. 4451/70, 21/02/1975 § 36

<sup>5</sup> ECtHR, *Bellet v. France*, no. 23805/95, 9/12/1995, § 38

<sup>6</sup> ECtHR, *Nunes Dias v. Portugal*, no. 33094/07, 5/11/2009

ინდივიდის სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა ისე არ უნდა შეზღუდოს ან შეასუსტოს, რომ უფლების ძირითადი არსი იქნეს ხელყოფილი.<sup>7</sup>

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, 14 წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს შეუძლია, დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს, თუმცა უფრო მცირე ასაკის ბავშვები, რომელთაც მსგავსი უფლება კანონმდებლობით მინიჭებული არ აქვთ, შეიძლება, გარკვეულ შემთხვევებში, მართლმსაჯულების გარეშე დარჩნენ. ასეთი შემთხვევები გვხვდება მაშინ, როდესაც მშობელი თუ ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენელი გულგრილად ეკიდება ბავშვის ინტერესების დაცვას ან სახელმწიფოს ზრუნვაში მყოფი ბავშვის უფლებების დარღვევა სწორედ სახელმწიფოსგან მომდინარეობს. ასევე, არაერთი ბავშვია დარჩენილი მშობლის, სხვა ადამიანის თუ სახელმწიფოს წარმომადგენლობის გარეშე. ასეთ შემთხვევებში, ბავშვებს არ აქვთ რაიმე ბერკეტი, თავიანთი უფლებების დასაცავად იბრძოლონ, სანამ ისინი არასრულწლოვანები არიან. მათი, როგორც ბავშვების უფლებები, ხშირად, არათუ დაუცველი რჩება, არამედ მათი სავარაუდო დარღვევის შემოწმების შესაძლებლობაც არ არსებობს. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში, ბავშვები სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის გარეშე რჩებიან.

### *3.2. განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფი 14 წლამდე არასრულწლოვანთა მიმართ თანაბარი მოპყრობა*

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ყოველი პირისთვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. დასახელებული ნორმა არ ვრცელდება 14 წლამდე არასრულწლოვანებზე და კანონი აკეთებს სპეციალურ დათქმას, რომ ამ ასაკობრივი ჯგუფის მოსარჩელებს, მხოლოდ წარმომადგენლის მეშვეობით შეუძლიათ სასამართლოში საქმის წარმოება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ, საქმე სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით აწარმოონ, რაც ასევე გულისხმობს ბავშვის ინტერესების წარმოდგენას მშობლის, მეურვის, მზრუნველის ან სოციალური მუშაკის მიერ. ბავშვებისათვის, ზრდასრულთაგან განსხვავებით, წარმომადგენლის მეშვეობით სასამართლოსთვის მიმართვა ერთადერთი შესაძლებლობაა, ხოლო თუ მისი წარმომადგენელი – მშობელი, მეურვე ან სახელმწიფო უარს იტყვის ბავშვის საუკეთესო ინტერესის შესაბამისად მოქმედებაზე, ბავშვი სასამართლოზე ხელმისაწვდომობის გარეშე დარჩება. ამას გარდა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზრდასრულ პირებს აქვთ საპროცესო წარმომადგენლის თავისუფლად არჩევის უფლება, მათ

<sup>7</sup> ECtHR, *Philis v. Greece (no. 1)*, nos. 12750/87, 13780/88, 14003/88, 27/08/1991, § 59; *De Geouffre de la Pradelle v. France*, no. 12964/87, 16/12/1992, § 28; *Stanev v. Bulgaria*, no. 36760/06, 17/01/2012, § 229



შეუძლიათ აირჩიონ ადვოკატი, რომელსაც, მათი აზრით, აქვს სათანადო გამოცდილება და საუკეთესოდ დაიცავენ მათ ინტერესებს. 14 წლამდე არასრულწლოვნები მსგავს შესაძლებლობას მოკლებულნი არიან - მათ წარმოადგენენ ან მშობლები ან სახელწმიფო ორგანოები. ამ შემთხვევაში, ბავშვი მთლიანად მინდობილია კანონიერი წარმომადგენლის კეთილ ნებას, რომ მისი ინტერესების დასაცავად სათანადო ადვოკატი მოიძიოს.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სხვა პირების თუ ბავშვის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობას, ბავშვების უფლებების დარღვევის შესახებ სასამართლოს მიმართონ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც მსხვერპლისგან არ ჰქონდა მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, შესაძლებლობა მისცა, მისი სახელით ედავა სასამართლოში, ვინაიდან მსხვერპლი სხვა მომჩივნებისგან განსხვავებულ, ნაკლებად ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, კერძოდ, მას არ ჰქონდა პრაქტიკული შესაძლებლობა, თავად მიემართა სასამართლოსთვის, ან წარმომადგენლისთვის მიეცა შესაბამისი დავალება.<sup>8</sup>

საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ნეიტრალური წესი, რომელიც ყველას თანაბრად – პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით – აძლევს შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს, ზოგ შემთხვევაში, გამორიცხავს ბავშვებს, რომელთა სასამართლოსთვის მიმართვის უფლების რეალიზაციას მხოლოდ ფორმალურ კრიტერიუმებს უქვემდებარებს იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკულად, კანონმდებლობის ასეთი ფორმულირების პირობებში, არსებობს შემთხვევები, როდესაც ბავშვები სრულიად გამორიცხულნი არიან ამ უფლებით სარგებლობიდან. აქედან გამომდინარე, ბავშვები ზრდასრულებთან მიმართებით არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან, ვინაიდან კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მექანიზმს, რომელიც ბავშვს ნებისმიერ შემთხვევაში მისცემდა სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას. განსხვავება კი ასაკის ნიშნით ხდება. შესაბამისად, ბავშვები, მათზე მორგებული კანონმდებლობის არარსებობის გამო, ირიბი დისკრიმინაციის მსხვერპლნი ხდებიან.

*3.3. 14 წლამდე არასრულწლოვნების მიმართ თანაბარი მოპყრობის გამამართლებელი ლეგიტიმური მიზანი*

14 წლამდე ბავშვების მიერ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის სარგებლობისას დისკრიმინაციული მოპყრობის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია, კანონი მოერგოს რეალობას და ყოველ შემთხვევაში გაითვალისწინოს ბავშვების საჭიროებები. როგორც აღინიშნა, მცირე ასაკის გათვალისწინებით, ბავშვები სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზაციისას სრულწლოვანთაგან განსხვავებულ

<sup>8</sup> ECtHR, *Centre for Legal Resources on behalf of Valentin Campeanu v. Romania*, no. 47848/08, 17/07/2014, § 108

მდგომარეობაში იმყოფებიან, რამდენადაც მათ დამოუკიდებლად არ შეუძლიათ საკუთარი ინტერესების დაცვა. ამის გათვალისწინებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კანონმდებლობამ გაითვალისწინოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა და ძირითადი აქცენტი არა სასამართლოში სარჩელის შემტანი პირის უფლებამოსილებაზე, არამედ ბავშვის უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე გააკეთოს.

ირიბი დისკრიმინაციის აკრძალვა სახელმწიფოს ავალდებულებს არ გამოიყენოს ბლანკეტური მიდგომა და განსხვავებულად მოეპყრას განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ პირებს. მართალია, კანონმდებელი შეეცადა არ დაემვა ბლანკეტური მიდგომა და დააწესა 14 წლამდე ბავშვების მიმართ სპეციალური რეგულაცია, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, რიგ შემთხვევებში, ის ნაკლებ ეფექტურია. ბავშვების დაცვის მიზნით, კანონმდებელმა ზედმეტად შეზღუდა და დაავიწროვა ბავშვების საპროცესო წარმომადგენლების არჩევის უფლება. ამ რეგულაციის მიღებისას კანონმდებლის სავარაუდო ლეგიტიმური მიზანი ბავშვის უფლებების ეფექტური დაცვა სასამართლოს გზით და საპროცესო წარმომადგენლების მიერ უფლების ბოროტად გამოყენების რისკის შემცირება იყო. თუმცა, შესაძლოა მშობელმა არ მიმართოს სასამართლოს ბავშვის უფლების დასაცავად და თუკი არც ბავშვმა მიმართა სოციალური დაცვის საგენტოს, მისი უფლება დაუცველი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი სააგენტოს ჩართვით ცდილობს თავიდან აიცილოს არასრულწლოვანის ინტერესების შელახვის საფრთხე, ეს მექანიზმი პრაქტიკაში არაეფექტურია რამდენიმე მიზეზის გამო. კერძოდ, საქმეში არ არიან ჩართული იურისტები და სააგენტოს წარმომადგენელს საპროცესო წარმომადგენლისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები შეიძლება აკლდეს, რაც განაპირობებს პროცესუალურ შეცდომებს, რომლებიც შემდგომ ინსტანციებში ვეღარ გამოსწორდება. ასევე, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების უფლებებს შესაძლოა თავად სახელმწიფო არღვევდეს, რაც გულისხმობს რომ სააგენტო ვეღარ იქნება მიჩნეული ობიექტურ და მიუკერძოებელ წარმომადგენლად. საქართველოს სოციალური სამსახური ერთ-ერთ საქმეში გააკრიტიკა ასევე ადამიანის ფულებათა ევროპულმა სასამართლომ.<sup>9</sup> ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკანონმდებლო რეგულირება ვერ უზრუნველყოფს კანონმდებლის მიერ დასახული მიზნის მიღწევას და ვერ ხორციელდება 14 წლამდე არასრულწლოვნების სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება. შესაბამისად, არსებული რეგულაცია წარმოადგენს 14 წლამდე არასრულწლოვნების მიმართ ირიბ დისკრიმინაციას ასაკის ნიშნით.

---

<sup>9</sup> ECtHR, *N. TS. And Others v. Georgia*, no. 71776/12, 02/02/2016; *G.S. v. Georgia*, no. 2361/13, 21/10/2015

### *3.4.14 წლამდე არასრულწლოვნების საპროცესო უფლებამოსილების რეგულირების თაობაზე დასკვნა*

ბავშვის უფლებების სრულყოფილი რეალიზაციის მიზნით, აუცილებელია, კანონი იყოს მოქნილი – განიხილოს ბავშვის სასამართლოში წარმომადგენლობა მისი ნათესავის, სხვა ახლობელი ადამიანის ან ადვოკატის მიერ, რომლებიც შეიძლება ბავშვის კანონიერი წარმომადგენლები არ იყვნენ. ამასთან, განსაკუთრებით მწვავეა იმ ბავშვების მდგომარეობა, რომელთაც არ ჰყავთ ახლობელი ადამიანები და ცხოვრობენ სახელმწიფოს ზრუნვის ქვეშ ან მის გარეშე. ასეთ შემთხვევებში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მსგავსად, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს ბავშვის წარმომადგენლობის უფლება ჰქონდეთ. 14 წლამდე ბავშვების დაცვის დამატებითი ბერკეტი შეიძლება გახდეს მათი წარმომადგენლობის საკითხის გადაწყვეტის მინდობა სასამართლოსადმი, კერძოდ, სასამართლომ შეაფასოს საპროცესო წარმომადგენლის კეთილსინდისიერება, ურთიერთობა ბავშვის მიმართ და პროფესიონალიზმი. სასამართლოს, ასევე, უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, თავად დაუნიშნოს საპროცესო წარმომადგენელი 14 წლამდე არასრულწლოვანს, როდესაც მიიჩნევა, რომ ბავშვს არ ჰყავს სათანადო წარმომადგენელი. ასევე, დაშვებული უნდა იყოს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც, მისი უფლების დარღვევის შემთხვევაში, ბავშვი მარტივი განცხადებით მიმართავს პირდაპირ სასამართლოს, სასამართლო კი დანიშნავს საპროცესო წარმომადგენელს, რომელიც მოამზადებს სარჩელს და მოიპოვებს შესაბამის მტკიცებულებებს. აუცილებელია, რომ ბავშვები, რომლებიც მართლმსაჯულების მიღმა დარჩენის საფრთხის წინაშე დგანან, კანონმდებელმა მოიაზროს როგორც დაუცველი ჯგუფი და კანონის მიზანი იყოს ისეთი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, რომელიც ბავშვს ნებისმიერ რთულ მდგომარეობაში გაუკვალავს გზას სასამართლოსკენ.

## **4. 14-18 წლის არასრულწლოვანთა სასამართლოსადმი მიმართვის საკითხი**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას საკუთარი თავი. სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებზე ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები. ამ ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საპროცესო წარმომადგენელი არასრულწლოვანს ენიშნება მოგვიანებით და ის ვალდებულია დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს. სასამართლოსადმი მიმართვის პროცედურები გაწერილია საქართველოს სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 177-178 მუხლებით, შესაბამისად, არასრულწლოვანს კანონი ეპყრობა ისევე როგორც სრულწლოვანს სარჩელის შეტანის ეტაპზე და მას აკისრებს პასუხისმგებლობას შეასრულოს საკმაოდ რთული პროცედურები, - შეავსოს სარჩელის ფორმა, აღწეროს ამომწურავად ფაქტობრივი გარემოებები და მოიპოვოს შესაბამისი მტკიცებულებები. ამ ფუნქციების შესრულებაში, თავდაპირველ ეტაპზე, მას ვერ დაეხმარება სხვა პირი, რადგან არ აქვს წარმომადგენლობის გაფორმების უფლება.

*4.1. კანონით გათვალისწინებული უფლება, რომლით სარგებლობისას ადგილი ჰქონდა თანაბარ მოპყრობას არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფი 14-18 წლის არასრულწლოვანის მიმართ*

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა მე-6 მუხლის თანდაყოლილი ელემენტია.<sup>10</sup> სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებით ეფექტიანად სარგებლობამ შესაძლოა სახელმწიფოსთვის შექმნას სხვა ვალდებულებები, მაგალითად, როგორცაა სამოქალაქო საქმეებზე უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა,<sup>11</sup> როდესაც კონკრეტული სამართალწარმოებისას სასამართლო წარმომადგენლობა სავალდებულოა. საქმის სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველსაყოფად უფასო იურიდიული დახმარების აუცილებლობის საკითხი გადაწყდება კანონმდებლობისა და პროცედურის სირთულის გათვალისწინებით, ასევე ყურადღება ექცევა თუ რამდენად აქვს მსხვერპლს შესაძლებლობა, ეფექტურად დაიცვას თავისი ინტერესები.<sup>12</sup>

ბავშვის წარმომადგენლობის საკითხის შეფასებისას, ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე დაადგინა მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევა, რადგან განმცხადებელს უნდა წარმოედგინა საკუთარი თავი მის ქალიშვილზე ზრუნვისა და შვილად აყვანის საქმის წარმოებისას. თავდაპირველად მას ჰყავდა წარმომადგენელი, თუმცა, მოგვიანებით, ადვოკატმა უარი თქვა საქმეზე და მას არ მიეცა საკმარისი დრო ახალი წარმომადგენლის საქმის კურსში ჩასაყენებლად. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო წარმომადგენლობა სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო გამორჩეულად რთული სამართალწარმოების დროს და დავის საგნის გათვალისწინებით.<sup>13</sup> სხვა საქმეში სასამართლომ მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში, რადგან განმცხადებელს უარი ეთქვა უფასო იურიდიულ დახმარებაზე მის შვილზე მეურვეობის გასაჩივრებასთან დაკავშირებით. უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფაზე უარის საფუძველს წარმოადგენდა ბელგიაში განმცხადებლის

<sup>10</sup> ECtHR, *Golder v. UK*, no. 4451/70, 21/02/1975, § 36

<sup>11</sup> ECtHR, *Airey v. Ireland*, no. 6289/73, 9/10/1979; *Aerts v. Belgium*, no. 25357/94, 30/07/98; *Bakan v. Turkey*, no. 50939/99, 12/09/2007

<sup>12</sup> ECtHR, *Steel and Morris v. UK*, no. 68416/01, 15/05/2005, § 61

<sup>13</sup> ECtHR, *P, C and S v. UK*, no. 56547/00, 16/10/2002, §§ 92-100

არალეგალურად ცხოვრება. სასამართლომ დაადგინა, რომ ოჯახურ საკითხზე სამართალწარმოების სიმწვავის გათვალისწინებით, აუცილებელი იყო განსაკუთრებით დამაჯერებელი არგუმენტის მოხმობა ცხოვრების უფლების მქონე და ცხოვრების უფლების არმქონე პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობის დასასაბუთებლად.<sup>14</sup> შესაბამისად, ორივე საქმეში ევროპულმა სასამართლომ დარღვევა დაადგინა, რადგან დავის საგანი ეხებოდა ბავშვის უფლებების საკითხს და მოსარჩელები სახელმწიფომ არ უზრუნველყო უფასო იურიდიული დახმარებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფომ წარმომადგენლების დანიშვნის საკითხი უნდა შეაფასოს დავის საგნის სიმწვავის გათვალისწინებით, როგორ საქმეებსაც მიეკუთვნება დავები, რომლებიც ეხება ბავშვის უფლებებს.

ააიპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ განცხადების თანახმად, 17 წლის ოჯახში ძალადობის მსხვერპლს სჭირდებოდა სასწრაფო იურიდიული დახმარება, კერძოდ, მისი დედის მიმართ გაცემული იყო შემაკავებელი ორდერი, რომელიც მოქმედებს ერთი თვის ვადით. საჭირო იყო სასამართლოსთვის მიმართვა და დამცავი ორდერის გამოცემა, რომ მსხვერპლი კვლავ თავშესაფარში დარჩენილიყო. მსხვერპლს ჰქონდა სურვილი მისი ინტერესები სასამართლოში განმცხადებელ ორგანიზაციას წარმოედგინა, ამ პროცედურისთვის კი საჭირო იყო კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, რომელიც არასრულწლოვანს არ ჰყავდა დანიშნული. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის იურისტებმა წერილობით მიმართეს როგორც „ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს“, ასევე სოციალური მომსახურების სააგენტოს, განცხადებები რეაგირების გარეშე დარჩა. არასრულწლოვანს არ დაენიშნა კანონიერი წარმომადგენელი, მიუხედავად იმისა, რომ შემაკავებელი ორდერის ვადა იწურებოდა და არსებობდა მსხვერპლის კვლავ მოძალადე დედასთან დაბრუნების საფრთხე. მსგავსი გულგრილი დამოკიდებულება წარმოადგენს იმის ილუსტრაციას, რომ სახელმწიფო ორგანოები სათანადოდ ვერ ახორციელებენ არასრულწლოვანთა წარმომადგენლობას. არასრულწლოვნისთვის წარმომადგენლობაზე რწმუნებულების გაფორმებაზე უარი განაცხადა ნოტარიუსმაც და 17 წლის მსხვერპლისთვის უფლების დაცვის ერთადერთ მექანიზმად სასამართლოსთვის დამოუკიდებლად მიმართვა დარჩა. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ეს საშუალება არ არის ეფექტური, რადგან არასრულწლოვანისთვის პრაქტიკულად რთული იქნება სარჩელის მომზადება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-178 მუხლების სრული დაცვით. შესაბამისად, 14-18 წლის არასრულწლოვანები იძულებულნი არიან დამოუკიდებლად მიმართონ სასამართლოს, მსგავსი საკანონმდებლო მოთხოვნა კი წარმოადგენს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებაში ჩარევას.

---

<sup>14</sup> ECtHR, *Anakomba Yula v. Belgium*, no. 45413/07, 10/06/2009

#### *4.2. განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფი 14-18 წლის არასრულწლოვანთა მიმართ თანაბარი მოპყრობა*

14-18 წლის არასრულწლოვანი წარმოადგენს სრულწლოვანისგან არსებითად განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ პირს და სახელმწიფოს აქვს ვალდებულება მას მოეპყრას განსხვავებულად. საკანონმდებლო რეგულაცია მას, ისევე როგორც სრულწლოვანს, აძლევს უფლებას მიმართოს სასამართლოს, მაგრამ ამასთანავე აკისრებს ვალდებულებას თავად მოიძიოს მტკიცებულებები და მოამზადოს სარჩელი, თუმცა, სრულწლოვანისგან განსხვავებით, არ აძლევს საწყის ეტაპზე, დამოუკიდებელი გადაწყვეტილების საფუძველზე ადვოკატის ყოლის უფლებას. არასრულწლოვანს წარმომადგენელი შემდგომ ეტაპზე ენიშნება სასამართლოს მიერ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, *მხარეთა თანასწორობის* პრინციპი საქმის სამართლიანი განხილვის ფართო უფლების ძირითადი ასპექტია და ვრცელდება როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო საქმეებზე.<sup>15</sup> მას სასამართლო განმარტავს როგორც მოთხოვნას, რომ *თითოეულ მხარეს ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა წარმოადგინოს თავისი საქმე იმ პირობებში, რაც მას არ აყენებს მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში ოპონენტის წინაშე.*<sup>16</sup> რეგულაცია, რომელიც ბლანკეტურად ეპყრობა სრულწლოვანსაც და 14-18 წლის არასრულწლოვანსაც, ბავშვს ავალდებულებს მოამზადოს სარჩელი და მოიპოვოს მტკიცებულებები, წარმოადგენს თანასწორობის პრინციპის დარღვევას, რადგან არასრულწლოვანს არ აქვს სათანადო რესურსი, ოპონირება გაუწიოს მოპასუხეს. საკანონმდებლო რეგულაცია წარმოადგენს ნეიტრალურ წესს, რომელიც, პროცესის თავდაპირველ ეტაპზე, თანაბრად ეპყრობა სრულწლოვნებს და 14-18 წლის ბავშვებს.

#### *4.3. 14-18 წლის არასრულწლოვნების მიმართ თანაბარი მოპყრობის გამამართლებელი ლეგიტიმური მიზანი*

ზემოთგანხილული საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, 14-18 წლის არასრულწლოვანს, 14 წლამდე არასრულწლოვანებისგან განსხვავებით, უფლება აქვს დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს, თუმცა დამატებითი ბერკეტების გარეშე მსგავსი უფლება არასრულწლოვანისთვის დიდ ტვირთს წარმოადგენს. კანონმდებლის სავარაუდო ნება იყო არასრულწლოვანის მოსაზრებების გათვალისწინება. კანონმდებელი მიიჩნევს, რომ 14 წლიდან არასრულწლოვანს აქვს შესაძლებლობა, გაიაზროს უფლებადარღვევა, თავად მიმართოს სასამართლოს და არ იყოს დამოუკიდებელი კანონიერი წარმომადგენელზე ან სოციალური მომსახურების სააგენტოზე. მისასაღმებელია 14-18 წლის

<sup>15</sup> ECtHR, *Beer v. Austria*, no. 30428/96, 6/02/2001, § 18

<sup>16</sup> ECtHR, *De Haes and Gijssels v. Belgium*, no. 19983/92, 24/02/1997, § 53

არასრულწლოვნისთვის თავისუფლების მინიჭება და მისი დაცვა იმ წარმომადგენლებისგან, რომლებიც, არასრულწლოვნის აზრით, არღვევენ მის უფლებებს ან სათანადოდ ვერ წარმოადგენენ მის ინტერესებს, თუმცა, არსებული რეგულაცია 14-18 წლის ბავშვებს აკისრებს პასუხისმგებლობას შეასრულოს მისთვის რთული პროცედურები - მოამზადოს სარჩელი და და მოიპოვოს შესაბამისი მტკიცებულებები. მას ამ ფუნქციების შესრულებაში თავდაპირველ ეტაპზე ვერ დაეხმარება სხვა პირი, რადგან არ აქვს წარმომადგენლობის გაფორმების უფლება. შესაბამისად, ეს რეგულაცია ხელს უშლის არასრულწლოვანს ეფექტურად განახორციელოს სამართალწარმოება და მოპასუხესთან შედარებით არათანასწორ პირობებში აყენებს. მართალია, კანონმდებელი უშვებს, მოგვიანებით, სასამართლოს მიერ საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნას, თუმცა, ეს გზა არის არაეფექტური, რადგან წარმომადგენლის ჩართვა ხდება დაგვიანებით, რაც ვერ გამორიცხავს არასრულწლოვანის მიერ სასამართლოსადმი მიმართვის ეტაპზე ხარვეზს. შესაბამისად, არასრულწლოვანს ესაჭიროება იურისტის დახმარება სარჩელის შეტანის ეტაპზევე, რაც, პოზიტიური ვალდებულებებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ.

#### *4.4. 14-18 წლის არასრულწლოვნების საპროცესო უფლებამოსილების რეგულირების თაობაზე დასკვნა*

ბავშვის უფლებების სრულყოფილი რეალიზაციის მიზნით, აუცილებელია, კანონი იყოს 14-18 წლის არასრულწლოვანის საჭიროებებზე და თავისებურებებზე მორგებული. სასამართლომ უნდა განიხილოს 14 წლიდან ბავშვის სასამართლოში წარმომადგენლობა მისი ნათესავის, სხვა ახლობელი ადამიანის ან ადვოკატის მიერ, რომლებიც შეიძლება ბავშვის კანონიერი წარმომადგენლები არ იყვნენ. სასამართლოს ასევე უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, თავად დაუნიშნოს საპროცესო წარმომადგენელი 14-18 წლის არასრულწლოვანს, სასამართლოში მარტივი ფორმით განცხადების შეტანისთანავე. კერძოდ, დაშვებული უნდა იყოს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც, ბავშვი, უფლების დარღვევის შემთხვევაში, მარტივი განცხადებით მიმართავს პირდაპირ სასამართლოს, რომელიც დანიშნავს საპროცესო წარმომადგენელს, რომელიც მოამზადებს სარჩელს და მოიპოვებს მტკიცებულებებს. აუცილებელია, რომ ბავშვები, რომლებიც მართლმსაჯულების მიღმა დარჩენის საფრთხის წინაშე დგანან, კანონმდებელმა მოიაზროს როგორც დაუცველი ჯგუფი და კანონის მიზანი იყოს ისეთი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, რომელიც ბავშვს ნებისმიერ რთულ მდგომარეობაში გაუკვალავს სასამართლოსკენ გზას. დასახელებული საკანონმდებლო ხარვეზის გადაჭრის გზა შესაძლოა, მათ შორის, იყოს საპროცესო ურთიერთობაში იურიდიული დახმარების სამსახურის ჩართვა, „იურიდიული დახმარების შესახებ კანონში“ შესაბამისი ცვლილების შეტანის გზით.

## 5. არასრულწლოვანთა საპროცესო უფლებების თაობაზე საერთაშორისო სტანდარტი

2016 წლის 16 სექტემბერს საქართველომ მოახდინა ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის შეტყობინების პროცედურის შესახებ მესამე დამატებითი ოქმის რატიფიცირება. ოქმის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, როდესაც კომიტეტისთვის მიმართვა ხდება ინდივიდის ან ჯგუფის სახელით, აუცილებელია მათი თანხმობა, ისეთი შემთხვევების გარდა, როდესაც შეტყობინების ავტორი წარმოადგენს გამართლებას ასეთი თანხმობის არარსებობისთვის. შესაბამისად, ეს ჩანაწერი პირს ან ორგანიზაციას აძლევს შესაძლებლობას, გაეროს კომიტეტს იმ ბავშვების სახელით მიმართონ, რომლებიც კანონიერი წარმომადგენლის და სახელმწიფოს დახმარების გარეშე არიან დარჩენილები.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 34-ე მუხლი ინდივიდუალური საჩივრის უფლებას ითვალისწინებს. ამ მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვის ერთ-ერთი წინაპირობა არის საჩივრის ავტორის მსხვერპლის სტატუსი, თუმცა, ამავდროულად, სასამართლო მიუთითებს, რომ მსხვერპლის ცნება ვითარდება თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად და არ უნდა იქნეს გამოყენებული ზედმეტად ფორმალურად.<sup>17</sup> ამასთან, ევროპული სასამართლო მსხვერპლის ცნებას განმარტავს ეროვნული სამართლის რეგულაციებისაგან დამოუკიდებლად – არ ანიჭებს მნიშვნელობას იმ გარემოებას, აქვს თუ არა პირს საპროცესო სამართალუნარიანობა ეროვნული სამართლის მიხედვით.<sup>18</sup>

როდესაც მსხვერპლი გადაწყვეტს, რომ ევროპულ სასამართლოს მიმართოს არა დამოუკიდებლად, არამედ წარმომადგენლის მეშვეობით, აუცილებელია სასამართლოსთვის წარმომადგენლობის წერილობითი ფორმის წარდგენა, რომელიც დაადასტურებს, რომ წარმომადგენელმა მსხვერპლისგან კონკრეტული დავალება მიიღო.<sup>19</sup> მიუხედავად ამისა, მაგალითად, მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის აკრძალვა) და მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მუხლებზე მსჯელობისას სასამართლო წარმომადგენლობის პროცედურას ნაკლებად ფორმალურად მოეკიდება და მხედველობაში მიიღებს მსხვერპლის დაუცველ მდგომარეობას მისი ასაკის, სქესის ან შეზღუდული შესაძლებლობის გამო, რატომაც მათ ვერ შეძლეს, მიემართათ სასამართლოსთვის. ასეთ შემთხვევებში, სასამართლო ასევე გაითვალისწინებს საჩივრის შემტანსა და მსხვერპლს შორის კავშირს და დასაშვებად ცნობს, მათ შორის, ისეთ საჩივრებს, რომლებიც წარმომადგენლობის ფორმის დაუცველად იქნა წარდგენილი.<sup>20</sup> ევროპულმა სასამართლომ ასევე დასაშვებად ცნო საჩივრები, რომლებიც წარმოდგენილი იყო არა მსხვერპლის ახლო ნათესავების მიერ, არამედ ადამიანის უფლებების დაცვაზე მომუშავე

<sup>17</sup> ECtHR, *Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*, no. 62543/00, 27/04/2004, § 38; *Stukus and Others v. Poland*, no. 12534/03, 01/04/2008, § 35; *Ziętal v. Poland*, no. 64972/01, 12/05/2000, §§54–59

<sup>18</sup> ECtHR, *Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*, no. 62543/00, 27/04/2004, § 35

<sup>19</sup> ECtHR, *Post v. the Netherlands*, no. 21727/08, 20/01/2009

<sup>20</sup> ECtHR, *Ilhan v. Turkey*, no. 22277/93, 27/06/2000, § 55



ორგანიზაციების მეშვეობით. მაგალითად, საქმეში – *სამართლებრივი რესურსების ცენტრი ვალენტინ კამპეანუს სახელით რუმინეთის წინააღმდეგ (Centre for Legal Resources on behalf of Valentin Campeanu v. Romania)* – არასამთავრობო ორგანიზაციას მიენიჭა უფლება, ედავა განსაკუთრებით დაუცველი პირის სიცოცხლის უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ, რომელსაც არ ჰყავდა ნათესავები, ჰქონდა მწვავე მენტალური შეზღუდვა და იყო აივ ინფექციის მატარებელი. მიუხედავად იმისა, რომ, ამ შემთხვევაში, მომჩივან ორგანიზაციას, მსხვერპლთან მის სიცოცხლეში არსებითი კავშირი არ ჰქონია და არც პირდაპირი დავალება მიუღია მისგან ან სხვა უფლებამოსილი პირისგან მისი უფლებების დაცვის მოთხოვნით, ევროპულმა სასამართლომ სარჩელი დასაშვებად ცნო.<sup>21</sup> სასამართლომ ასევე განიხილა სარჩელი *ასოციაცია რუმინეთში ადამიანის უფლებების დაცვისთვის – ჰელსინკის კომიტეტი იონელ გარციას სახელით რუმინეთის წინააღმდეგ (Association for the Defence of Human Rights in Romania – Helsinki Committee on behalf of Ionel Garcea v. Romania)*, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციამ წარადგინა გარდაცვლილი პატიმრის სახელით, ვინაიდან მსხვერპლს ახლობელი ადამიანები არ ჰყავდა.<sup>22</sup> არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმომადგენლობის შემთხვევებზე, როდესაც საქმის მასალებში არ მოიპოვება წარმომადგენლობის შესაბამისი ფორმა, სასამართლომ მიუთითა, რომ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც საქმე ადამიანის უფლებების სერიოზულ დარღვევას ეხება, არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა შეეძლოთ, წარმოადგინონ მსხვერპლის ინტერესები, იმის მიუხედავად, აქვთ თუ არა მათ წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მსხვერპლი გარდაიცვალა თუ არა სარჩელის სასამართლოში შეტანამდე.<sup>23</sup>

რაც შეეხება უშუალოდ ბავშვების უფლებებთან დაკავშირებული განაცხადის წარდგენისას მსხვერპლის სტატუსისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილების მინიჭების საკითხს, ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ ბავშვების დაუცველი მდგომარეობა ამართლებს ნაკლებად „შემზღუდველ და ტექნიკურ მიდგომას“.<sup>24</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას (რომელიც რეფორმის შედეგად გაუქმდა) და ევროპულ სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ბავშვების უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებში მათივე მონაწილეობის მიმართ უნდა გამოიყენებოდეს განსხვავებული წესები, რამდენადაც ისინი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, დამოუკიდებლად, სხვების დახმარების გარეშე წარმოადგინონ საკუთარი ინტერესები. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილება მიენიჭა ადვოკატს, რომელიც წარმოადგენდა ბავშვების ინტერესებს, რომელთა უფლებებიც მშობლებმა შელახეს.<sup>25</sup> ასევე, ევროპულმა სასამართლომ სარჩელის შეტანის უფლებამოსილების მქონე სუბიექტად ცნო ფაქტობრივი მზრუნველი, რომელიც წარმოადგენდა 200 ვიეტნამელ ბავშვს, რომლებიც ქვეყნიდან გაძევების საფრთხის

<sup>21</sup> ECtHR, *Centre for Legal Resources on behalf of Valentin Campeanu v. Romania*, no. 47848/08, 17/07/2014

<sup>22</sup> ECtHR, *Association for the Defence of Human Rights in Romania – Helsinki Committee on behalf of Ionel Garcea v. Romania*, no. 2959/11, 34/03/2015, §§42-46

<sup>23</sup> ECtHR, *Centre for Legal Resources on behalf of Valentin Campeanu v. Romania*, no. 47848/08, 17/07/2014, § 112

<sup>24</sup> ECtHR, *S. P., D. P. and A. T. v. the United Kingdom*, no. 23715/94, 20/05/1996

<sup>25</sup> ECtHR, *Z v. United Kingdom*, no. 29392/95, 10/09/1999

წინაშე იდგნენ.<sup>26</sup> სასამართლომ სარჩელით მიმართვის უფლებამოსილება ასევე მიაკუთვნა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებს, რომლებიც მისი კანონიერი წარმომადგენლები არ იყვნენ.<sup>27</sup> ასევე – ბიოლოგიურ მშობელს, რომელსაც მშობლის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა.<sup>28</sup>

ევროპული კომისიის მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში ადვოკატი წარმოადგენდა სამი არასრულწლოვნის ინტერესებს, რომელთა უფლებებიც მათი მშობლების მიერ ილახებოდა. ამავე ადვოკატის მიერ ბავშვები იყვნენ წარმოდგენილი ეროვნული სასამართლოების წინაშე. ამ საქმეზე კომისიამ აღნიშნა, რომ ბავშვების დაუცველი მდგომარეობა და მათი ინტერესების დაცვის განსაკუთრებული საჭიროება, მაგალითად, გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციისა და ბავშვთა უფლებების განხორციელების შესახებ ევროპული კონვენციის მეშვეობით ფართოდ აღიარებულია. 34-ე მუხლთან მიმართებით ბავშვების მდგომარეობა განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეფასდეს, ვინაიდან მათი მცირე ასაკისა თუ შესაძლებლობის გამო, არასრულწლოვანები, დახმარების გარეშე ვერ დაავალებენ სხვას, მათი სახელით დაიცვან მათი ინტერესები. ამიტომ, როდესაც საქმე ბავშვების წარმომადგენლობას ეხება, ძალიან შეზღუდული და ტექნიკური მიდგომა თავიდან უნდა იქნეს აცილებული.<sup>29</sup> ამ საქმეში, იმის გამოსარკვევად, უნდა ესარგებლა თუ არა ადვოკატს ბავშვების სახელით სასამართლოსთვის მიმართვის უფლებით, ევროპულმა კომისიამ შეაფასა შემდეგი საკითხები: არსებობდა თუ არა სხვა ან უფრო შესაფერისი წარმომადგენელი; წარმომადგენელსა და ბავშვებს შორის არსებული კავშირი; ადვოკატის მიერ ბავშვების სახელით წარდგენილი საჩივრის მიზანი და მოცულობა და ხომ არ არსებობდა მათ შორის ინტერესთა კონფლიქტი. ალტერნატიული წარმომადგენლობის შესაძლებლობის შეფასებისას კომისიამ მიიჩნია, რომ მშობლები ბავშვების მიმართ არავითარ ინტერესს არ იჩენდნენ, სახელმწიფოს ქმედებები კი, სოციალური მუშაკების ჩართულობის სახით, კომისიის წინაშე კრიტიკის საგანი იყო. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ბავშვების წარმომადგენლობის სხვა შესაძლებლობა არ არსებობდა.

ერთ-ერთ ბოლოდროინდელ საქმეში,<sup>30</sup> რომელშიც ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევა დაადგინა, სასამართლოს მიმართა დეიდამ, რომელიც წარმოადგენდა სამი არასრულწლოვანი დისშვილის ინტერესებს, რომლებსაც დედა გარდაცვლილი ჰყავდათ. ამ შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელი იყო მათი ბიოლოგიური მამა, რომელსაც მშობლის უფლება შეზღუდული ან ჩამორთმეული არ ჰქონია. სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების დასკვნების შედეგად ადგილობრივმა სასამართლოებმა ბავშვების საცხოვრებელ ადგილად, საბოლოოდ, მამის საცხოვრებელი

<sup>26</sup> ECtHR, *Becker v. Denmark*, no. 7011/1975, 03/10/1975

<sup>27</sup> ECtHR, *Siebert v. Germany*, no. 59008/00, 09/06/2005

<sup>28</sup> ECtHR, *Scozzari and Giunta v. Italy*, nos. 39221/98, 41963/98, 13/07/2000

<sup>29</sup> ECtHR, *S. P., D. P. and A. T. v. the United Kingdom*, no. 23715/94, 20/05/1996

<sup>30</sup> ECtHR, *N. TS. And Others v. Georgia*, no. 71776/12, 02/02/2016

ადგილი განსაზღვრეს, თუმცა გადაწყვეტილება არ აღსრულებულა. ევროპული სასამართლოს წინაშე ბავშვების დეიდა დავობდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ბავშვების ბედი სათანადო გულისხმიერების გარეშე გადაწყვიტეს – არ მიიღეს მხედველობაში ფსიქოლოგების დასკვნები, რომელთა მიხედვით, ბავშვებისთვის უკეთესი დედის ოჯახში ცხოვრება იქნებოდა, ასევე არ მოისმინეს საქმესთან დაკავშირებით ერთ-ერთი ბავშვის აზრი, რომელიც 10 წლის იყო. საქართველოს მთავრობა, თავის შეპასუხებაში, პირველ რიგში, აღნიშნავდა, რომ დეიდა არ იყო უფლებამოსილი, სასამართლოს წინაშე მისი დისშვილების სახელით ედავა. სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველი საქმის მიხედვით, სამი ბავშვი ნამდვილად დაუცველ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რამდენადაც ისინი იყვნენ არასრულწლოვანები, რომლებმაც დაკარგეს დედა, მამასთან კი გაურკვეველი და მტრული დამოკიდებულებაც კი ჰქონდათ. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ბავშვებს დეიდასთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა აკავშირებდათ. ამასთან, სასამართლომ გამოიკვლია, არსებობდა თუ არა ალტერნატიული შესაძლებლობა, რომლის მეშვეობითაც ბავშვები სასამართლოსთვის მიმართვას შეძლებდნენ და ხომ არ იყო სახეზე კონფლიქტი დეიდისა და ბავშვების ინტერესებს შორის.<sup>31</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 34-ე მუხლი ადგენს ერთმნიშვნელოვან მოთხოვნას პირისთვის *locus standi*-ს მინიჭებასთან დაკავშირებით, თუმცა, როგორც განხილული პრაქტიკიდან იკვეთება, სასამართლო ნაკლებად ფორმალურ მიდგომას მიმართავს იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს საფრთხე, რომ მსხვერპლის სტატუსის ძალიან მკაცრი შემოწმების პირობებში, სავარაუდო მსხვერპლი ევროპული სასამართლოს მიღმა დარჩება. სასამართლო მხედველობაში იღებს მსხვერპლის „დაუცველ მდგომარეობას“ და, ამასთანავე, ამოწმებს, აქვს თუ არა სარჩელის ავტორს მსხვერპლთან „ახლო კავშირი“ ან ამ პირობის არარსებობის შემთხვევაში, მსჯელობს, არსებობს თუ არა მსხვერპლის მიერ სასამართლოსთვის მიმართვის ალტერნატიული შესაძლებლობა. სასამართლო ასევე აფასებს, სარჩელის ავტორისა და მსხვერპლის ინტერესების ერთმანეთთან შესაბამისობას და შემდეგ სარჩელს დასაშვებად ცნობს.

## 6. დასკვნა

ბავშვის უფლებების სრულყოფილად დაცვისათვის აუცილებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობამ გაიზიაროს ევროპული სასამართლოსა და გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის მიდგომა, ვინაიდან პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა როდესაც მშობლის ან სხვა პირის კანონიერი წარმომადგენლობის გარეშე დარჩენილი, სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვი, სწორედ სახელმწიფოს მხრიდან ხდება უფლებადარღვევის მსხვერპლი. ასეთ შემთხვევაში კი იქმნება სამართლებრივი ვაკუუმი, რომელშიც არასრულწლოვანი მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ შესაძლებლობას, სხვა წარმომადგენელთან ერთად

<sup>31</sup> ECtHR, *N. TS. And Others v. Georgia*, no. 71776/12, 02/02/2016, §55

საკუთარი უფლება დაიცვას სასამართლოს მეშვეობით. პრაქტიკაში ასევე ვერ გამოირიცხება შემთხვევები, როდესაც მშობელი თუ სხვა კანონიერი წარმომადგენელი უარს ამბობს ბავშვის საუკეთესო ინტერესის შესაბამისად მოქმედებაზე, სახელმწიფო კი, ბავშვის უფლების დასაცავად, არ დგამს ნაბიჯებს. სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი თუ სახელმწიფოს ყურადღების მიღმა დარჩენილი ბავშვები ყოველდღიურად დგებიან ისეთი გამოწვევების წინაშე, როგორებიცაა: სიკვდილიანობა, ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე, განათლებაზე, მათ მიმართ ძალადობა, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, შრომითი ექსპლუატაცია.<sup>32</sup>

საქართველოს კანონმდებლობა არ არის ფორმულირებული იმგვარად, რომ ყველა ბავშვისთვის ყველა შემთხვევაში უზრუნველყოს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა. პრაქტიკაში თავს იჩენს შემთხვევები, როდესაც მშობლის, სხვა კანონიერი წარმომადგენლისა თუ სახელმწიფოს არაკეთილსინდისიერების გამო, ბავშვის ინტერესები სამართლებრივი დაცვის გარეშე რჩება. ასეთი მაგალითების წინაშე ევროპული სასამართლოც დადგა – სასამართლოს მოუწია მსხვერპლის სტატუსთან მიმართებით თავისი პრაქტიკა განევითარებინა იმგვარად, რომ მოეცვა ყველა ის შემთხვევა, რაც შეიძლება პრაქტიკაში წარმოიშვას. ამ მიზნით, სასამართლო მსჯელობს, განეკუთვნება თუ არა მსხვერპლი დაუცველ ჯგუფს, არსებობს თუ არა ახლო კავშირი სარჩელის ავტორსა და მსხვერპლს შორის, არსებობს თუ არა მსხვერპლისთვის სასამართლოსთვის მიმართვის ალტერნატიული საშუალება და ხომ არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი სარჩელის ავტორსა და მსხვერპლს შორის. ამასთან, სასამართლო ყველა ამ პირობას ერთობლიობაში არ განიხილავს და გადაწყვეტილებას იმის გათვალისწინებით იღებს, რომ მსხვერპლმა ნებისმიერ შემთხვევაში შეძლოს 34-ე მუხლით გარანტირებული ინდივიდუალური საჩივრის უფლების რეალიზაცია.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამებოდეს ბავშვების არსებულ მდგომარეობას და მისი ქვაკუთხედი ბავშვის საუკეთესო ინტერესი იყოს. ამოსავალი წერტილი არა კანონით დაწესებული ფორმალური პროცედურების დაკმაყოფილება, არამედ ყველას, მათ შორის ბავშვების, მიერ სასამართლოთი სარგებლობის უფლება უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიქმნება სიტუაცია, როდესაც მშობელი თუ სახელმწიფო თავს არიდებს სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ბავშვების კონკრეტული ჯგუფი კი მართლმსაჯულების მიღმა და დისკრიმინირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ნეიტრალური წესი, რომელიც ყველას თანაბრად – პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით – აძლევს შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს, ზოგ შემთხვევაში, გამოირიცხავს ბავშვებს, რომელთა სასამართლოსთვის მიმართვის უფლების რეალიზაციას. კერძოდ, 14 წლამდე ბავშვები დამოუკიდებლად ვერ ირჩევენ სასამართლო წარმომადგენლებს და არსებობს საფრთხე, რომ ისინი

<sup>32</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016, 552–602.

მართლმსაჯულების მიღმა დარჩნენ. 14 წლამდე ბავშვების დაცვის დამატებითი ბერკეტი შეიძლება გახდეს მათი წარმომადგენლობის საკითხის გადაწყვეტის მინდობა სასამართლოსადმი, კერძოდ, სასამართლომ შეაფასოს საპროცესო წარმომადგენლის კეთილსინდისიერება, ურთიერთობა ბავშვის მიმართ და პროფესიონალიზმი. სასამართლოს ასევე უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, თავად დაუნიშნოს საპროცესო წარმომადგენელი 14 წლამდე არასრულწლოვანს, როდესაც მიიჩნევა, რომ ბავშვს არ ჰყავს სათანადო წარმომადგენელი. ასევე, დაშვებული უნდა იყოს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც, მისი უფლების დარღვევის შემთხვევაში, ბავშვი მარტივი განცხადებით მიმართავს პირდაპირ სასამართლოს, სასამართლო კი დანიშნავს საპროცესო წარმომადგენელს, რომელიც მოამზადებს სარჩელს და მოიპოვებს შესაბამის მტკიცებულებებს.

განსახილველ საქმეში, განმცხადებელ ორგანიზაციას მიენიჭა სასამართლოში არასრულწლოვანის წარმომადგენლობის შესაძლებლობა, თუმცა, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ეფექტიანად განხორციელება განპირობებული უნდა იყოს არა კონკრეტული შემთხვევით, არამედ აღნიშნულ საკითხს კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვნად უნდა აწესრიგებდეს.

ზემოთგანხილული საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, 14-18 წლის არასრულწლოვანს, 14 წლამდე არასრულწლოვანებისგან განსხვავებით, უფლება აქვს დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს. ეს რეგულაცია ხელს უშლის არასრულწლოვანს ეფექტურად განახორციელოს სამართალწარმოება და მოპასუხესთან შედარებით არათანასწორ პირობებში აყენებს. მართალია, კანონმდებელი უშვებს, მოგვიანებით, სასამართლოს მიერ საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნას, თუმცა, ეს გზა არის არაეფექტური, რადგან წარმომადგენლის ჩართვა ხდება დაგვიანებით, რაც ვერ გამორიცხავს არასრულწლოვანის მიერ სასამართლოსადმი მიმართვის ეტაპზე ხარვეზს. შესაბამისად, არასრულწლოვანს ესაჭიროება იურისტის დახმარება სარჩელის შეტანის ეტაპზევე, რაც, პოზიტიური ვალდებულებებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ. სასამართლოს ასევე უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, თავად დაუნიშნოს საპროცესო წარმომადგენელი 14-18 წლის არასრულწლოვანს, სასამართლოში მარტივი ფორმით განცხადების შეტანისთანავე. დასახელებული საკანონმდებლო ხარვეზის გადაჭრის გზა შესაძლოა, მათ შორის, იყოს საპროცესო ურთიერთობაში იურიდიული დახმარების სამსახურის ჩართვა, „იურიდიული დახმარების შესახებ კანონში“ შესაბამისი ცვლილების შეტანის გზით.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო რეგულაციები სათანადოდ არ ითვალისწინებს ბავშვების სპეციალური საჭიროებებს და უზრუნველყოფს მათი სასამართლოსადმი დაუბრკოლებლად მიმართვის უფლებას, რის შედეგადაც 14 წლამდე არასრულწლოვანები და 14-18 წლის არასრულწლოვანები ხდებიან ირიბი დისკრიმინაციას მსხვერპლი ასაკის ნიშნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20<sup>1</sup> მუხლით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს პარლამენტს და საქართველოს მთავრობას:

- მოამზადოს და განახორციელოს საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც გაითვალისწინებს ყველა ასაკის არასრულწლოვანის მიერ სასამართლოსთვის მიმართვის მიზნით, უფასო იურიდიული დახმარებას ანდა ნათესავის, სხვა ახლობელი ადამიანის ან ადვოკატის მიერ წარმომადგენლობის შესაძლებლობას, არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,